ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 16
31.01.2024

16-24-4-202401311552

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სტაჟირების
გავლის წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 84^1-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სტაჟირების გავლის წესი თანდართული სახით (დანართი N1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილის 2023 წლის 6 ივნისის N77 ბრძანება ,,საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სტაჟირების წესის დამტკიცების თაობაზე“.

3. ეს ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ, N64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

<u>დანართი N1</u>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სტაჟირების გავლის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში (შემდგომში – აპარატი) სტაჟირების გავლის პირობებს.

მუხლი 2.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სტაჟირების მიზანია სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და კვალიფიკაციის ამაღლება საჯარო დაწესებულებისთვის კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოსამზადებლად.

მუხლი 3.

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტაჟირება – აპარატში სამუშაოს შრომის შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ, რომლის მიზანია პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და კვალიფიკაციის ამაღლება საჯარო დაწესებულებისთვის კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოსამზადებლად;

ბ) სტაჟიორი – პირი, რომელიც აპარატში, შრომის ანაზღაურების სანაცვლოდ ასრულებს სამუშაოს, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების და კვალიფიკაციის ამაღლების, საჯარო დაწესებულებისთვის კვალიფიციური ადამიანური რესურსის მომზადების მიზნით.

გ) სტაჟიორის მენტორი - აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი საჯარო მოსამსახურე, რომელიც ხელს უწყობს სტაჟიორს პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

დ) სტაჟიორობების მსურველი პირი – პირი, რომელსაც სურს სტაჟირების გავლა აპარატში და მონაწილეობს აპარატის მიერ გამოცხადებულ სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში.

მუხლი 4.

1. აპარატში სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იცის სახელმწიფო ენა;
ბ) სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მეორე ან მესამე საფეხურზე ან პროფესიული განათლების საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან/და დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების ერთ-ერთი საფეხური.

2. აპარატში პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ:

ა) იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;
ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;
გ) მან სტაჟიორად მიღებისას არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;
დ) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
ე) თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ სახალხო დამცველის აპარატში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს.

მუხლი 5.

1. სტაჟიორის სამუშაო დრო არის კალენდარული დროის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც სტაჟიორი ვალდებულია განახორციელოს სტაჟირების ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობები.

2. სტაჟიორის დასვენების დრო და უქმე დღეები განისაზღვრება <u>საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი</u>“.

3. სტაჟიორისათვის დადგენილია 5-დღიანი სამუშაო კვირა. სტაჟიორის სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს, ხოლო კვირაში – 40 საათს. სტაჟირების ხელმძღვანელი სტაჟიორს საჭიროებისამებრ განუსაზღვრავს სამუშაო ადგილზე ყოფნის გრაფიკს, რაც შესაძლოა, გამომდინარეობდეს სასწავლო პროცესთან სტაჟირების ინტეგრირების მიზნებიდან.

მუხლი 6.

1. აპარატში სტაჟირება ანაზღაურდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სტაჟირება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შესაძლოა ანაზღაურდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიღებული გრანტის ფარგლებში.

3. ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სტაჟირების ხელშეკრულებით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

თავი II. სტაჟიორის მიღება

მუხლი 7.

1. აპარატში სტაჟიორი მიიღება კონკურსით ან საჭიროების შემთხვევაში - კონკურსის გარეშე სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის პირველი მოადგილის გადაწყვეტილებით.

2. აპარატში სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება სტაჟიორთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული სტაჟირების ხელშეკრულებით.

მუხლი 8.

1. აპარატში სტაჟირების პროცესის ორგანიზებას, საერთო კოორდინაციას და სტაჟიორთა დოკუმენტაციის წარმოებას უზრუნველყოფს აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

2. სტაჟიორის პირადი საქმე მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) სტაჟიორის რეზიუმე;

ბ) სტაჟიორის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) სტაჟიორის განათლების თაობაზე ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტი ან დოკუმენტის ასლი.

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;

ვ) საბანკო რეკვიზიტები.

თავი III. კონკურსი

მუხლი 9.

1. კონკურსი არის ამ წესით საუკეთესო კანდიდატის შერჩევა სტაჟირების მსურველი პირისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით კომპეტენციების, ცოდნისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე.

2. სტაჟიორის შესარჩევი კონკურსი ეფუძნება კანონიერების, კანონის წინაშე თანასწორობის, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის, მიუკერძოებლობის, საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის, ანგარიშვალდებულების, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, გამჭვირვალობისა და ღიაობისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ სხვა პრინციპებს.

3. კონკურსის მიზანია, აპარატის სტაჟიორის პოზიციის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით, საუკეთესო კანდიდატის შერჩევა.

4. კონკურსის ამოცანებია:

ა) აპარატის სტაჟიორის პოზიციის თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) აპარატის სტაჟიორის პოზიციისათვის კანდიდატის შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

გ) საუკეთესო კანდიდატის შერჩევა წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

მუხლი 10.

1. კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სახალხო დამცველი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი.

2. აუცილებელი საჭიროებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული კონკურსის მოთხოვნებს, თემატიკას, კონკურსის ეტაპებს ათანხმებს აპარატის იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან, რომელშიც იგეგმება სტაჟიორის შერჩევა და სახალხო დამცველის იმ მოადგილესთან, რომელიც კურირებს ამ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას.

3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით კონკურსს სტაჟიორის პოზიციაზე აცხადებს საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდისა (www.ombudsman.ge) და სსიპ საჯარო სამსახურის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (hr.gov.ge) მეშვეობით.

4. აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია, კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია დამატებით განათავსოს შესაბამის ვებ–გვერდებზე, სოციალურ ქსელებში.

მუხლი 11.

1. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს აუცილებლად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს და შემდეგ მონაცემებს:

ა) იმ სტრუქტურული ერთეულის დასახელებას, სადაც ცხადდება სტაჟირება;

ბ) სტაჟიორისთვის განსაზღვრულ ფუნქციებს;

გ) კანდიდატის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

დ) ინფორმაციას კონკურსის ეტაპების თაობაზე;

ე) ინფორმაციას სტაჟირების ანაზღაურების შესახებ;

ვ) აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და წარდგენის ვადას;

2. კონკურსის შესახებ შეტყობინებაში შეიძლება აისახოს სხვა საჭირო ინფორმაციაც.

3. აპარატი უფლებამოსილია, სტაჟიორის კონკურსის შესახებ შეტყობინებაში შეიტანოს ტექნიკური ხასიათის შესწორება ან/და არსებითი ხასიათის ცვლილება.

4. სტაჟიორის კონკურსის შესახებ შეტყობინებაში არსებითი ცვლილების შეტანა გულისხმობს აპარატის მიერ სტაჟიორის ახალი კონკურსის გამოცხადებას.

5. სტაჟიორის კონკურსის შესახებ შეტყობინებაში არსებითი ცვლილების შეტანის შემთხვევაში, აპარატი ვალდებულია, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, არსებითი ცვლილებისა და სტაჟიორის კონკურსის ახალი ვადების შესახებ ინფორმაცია გაუგზავნოს იმ კანდიდატებს, რომლებსაც უკვე გაკეთებული აქვთ განაცხადი კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში არსებითი ცვლილებების შეტანამდე.

მუხლი 12.

1. კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატი განაცხადს წარადგენს ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით.

2. სტაჟირების მსურველი პირი ვალდებულია, წარმოადგინოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

3. სტაჟირების მსურველ პირს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად ეძლევა კონკურსის გამოცხადების დღიდან არანაკლებ 5 კალენდარული დღის ვადა.

4. სტაჟირების მსურველი პირი უფლებამოსილია, განაცხადში შეიტანოს ცვლილება განაცხადების წარდგენისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესით.

მუხლი 13.

სტაჟირების მსურველი პირის მიერ წარდგენილი განაცხადების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას უზრუნველყოფს აპარატის დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეული განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, რაც წარედგინება სტაჟირების მსურველი პირის შეფასებაზე უფლებამოსილ კომისიას/პირს.

მუხლი 14.

1. სტაჟირების მსურველი პირი, რომლის მიერ წარდგენილი განაცხადი განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისია, ექვემდებარება შეფასებას.

2. სტაჟირების მსურველი პირის შეფასება ხდება გასაუბრების საფუძველზე.

3. საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებით, შეფასებისათვის შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს წერითი ან/და ზეპირი დავალება.

4. კონკურსის ჩატარებისა და სტაჟირების მსურველი პირის შეფასების უზრუნველსაყოფად იქმნება შესაბამისი კომისია აუცილებელი საჭიროებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.

5. კომისია შესაძლოა შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით: აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი, აპარატის იმ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი, რომელშიც მიმდინარეობს სტაჟიორის შერჩევა და სახალხო დამცველის ის მოადგილე, რომელიც კურირებს ამ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას. კომისიის შემადგენლობაში, ასევე, შესაძლებელია შედიოდნენ აპარატის სხვა თანამშრომლებიც ან/და მოწვეული, დამოუკიდებელი წევრი/წევრები.

6. საქართველოს სახალხო დამცველი კომისიის შემადგენლობიდან ნიშნავს კომისიის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს.

7. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მას ცვლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 15.

1. კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს სტაჟირების მსრუველი პირის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას სხვა სტაჟირების მსურველი პირის შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება

კონკურსის მიმდინარეობისას, კომისია იმსჯელებს აცილების საფუძვლიანობის თაობაზე. კომისიის წევრის აცილების თაობაზე კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კომისიის ამ წევრის მიერ სტაჟირების მსურველი პირის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 16.

1. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის საფუძველზე; ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისია აფასებს სტაჟირების მსურველი პირის პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მოტივაციას და შესაბამისობას პოზიციის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან.

4. კომისიის მიერ სტაჟირების მსურველი პირის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული სტაჟირების მსურველი ყველა პირისადმი კონკურსის ყველა ეტაპზე.

5. კომისიის მიერ სტაჟირების მსურველი პირის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების, განათლების, პიროვნული მახასიათებლების, კონკურსის ეტაპებისა და მოტივაციის შეფასებას.

6. კომისიის მიერ სტაჟორების მსურველი პირის შეფასების შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

7. კომისიის წევრთა შრომა არ ანაზღაურდება.

მუხლი 17.

1. კონკურსის ეტაპებია:

ა) სტაჟირების მსურველი პირის მიერ წარდგენილი განაცხადის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) სტაჟირების მსურველი პირის შეფასება;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

2. კონკურსის მიმდინარეობა და შედეგები აისახება კონკურსის საბოლოო ოქმში.

მუხლი 18.

1. კონკურსის პირველი ეტაპი წარმოადგენს სტაჟირების მსურველი პირის მიერ წარდგენილი განაცხადის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს გამოცხადებული კონკურსისათვის დადგენილ მოთხოვნებთან სტაჟირების მსურველი პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.

2. სტაჟირების მსურველი პირის მიერ წარდგენილი განაცხადების განაცხადის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას უზრუნველყოფს აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

3. კონკურსის პირველი ეტაპის – სტაჟირების მსურველი პირების მიერ წარდგენილი განაცხადების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შედეგებს აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული წარუდგენს კომისიას, რაც აისახება საბოლოო საოქმო ჩანაწერში და დასტურდება კომისიის წევრების ხელმოწერით.

4. კონკურსის შემდეგ ეტაპზე არ დაიშვება სტაჟიორობის სტაჟირების მსურველი პირი, რომელიც ვერ გადალახავს განაცხადების გადარჩევის ეტაპს.

მუხლი 19.

1. კონკურსის შემდეგი ეტაპი (ეტაპები) შესაძლოა ჩატარდეს, ტესტირების, წერითი დავალების ან/და გასაუბრების ფორმით.

2. კონკურსის შემდეგ ეტაპებზე მოწმდება სტაჟირების მსურველი პირის პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, პიროვნული მახასიათებლები, მოტივაცია და სტაჟირების მსურველი პირის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან.

3. ტესტირებისა ან წერითი დავალების გამსვლელი ქულა უნდა იყოს, სულ მცირე, ქულათა მაქსიმალური ოდენობის ნახევარი.

4. გასაუბრების ეტაპზე არ დაიშვება სტაჟიორობის სტაჟირების მსურველი პირის რომელიც ვერ გადალახავს ტესტირების ან/და წერითი დავალების ეტაპს. ამასთან, კონკურსის ეტაპების შედეგების დაჯამება არ ხდება.

5. სტაჟირების მსურველი პირის თანხმობის შემთხვევაში, გასაუბრებაზე შეიძლება განხორციელდეს გასაუბრების აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერა.

მუხლი 20.

1. კომისია სტაჟიორის პოზიციაზე წარადგენს საუკეთესო სტაჟირების მსურველი პირის ან უარს აცხადებს სტაჟირების მსურველი პირის წარდგენაზე.

2. თუ სტაჟირების მსურველი პირი, რომელიც შეირჩა კონკურსის შედეგად, უარს განაცხადებს სტაჟიორად მიღებაზე, კომისია უფლებამოსილია, იმსჯელოს იმავე კონკურსში მონაწილე სტაჟირების მსურველი, უკეთესი შედეგების მქონე სხვა პირის სტაჟიორად მიღების საკითხზე ან მიიღოს გადაწყვეტილება სტაჟიორის კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ, რასთან დაკავშირებითაც ფორმდება ოქმი.

3. კონკურსი ჩაშლილად მიიჩნევა, თუ:

ა) მასში მონაწილეობისათვის წარდგენილი არ იქნა არცერთი განაცხადი;

ბ) კომისიამ დასაბუთებული უარი განაცხადა სტაჟირების მსურველი პირის წარდგენაზე.

გ) სტაჟირების მსურველმა პირმა უარი განაცხადა სტაჟიორად მიღებაზე და მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ.

4. საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის ან/და სხვა გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია, შეწყვიტოს სტაჟიორის გამოცხადებული კონკურსი ნებისმიერ ეტაპზე, სტაჟირების მსურველი პირისათვის საბოლოო გადაწყვეტილების გაცნობამდე.

5. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, კონკურსის შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება შეატყობინოს სტაჟირების მსურველ პირებსა და საჯარო სამსახურის ბიუროს.

მუხლი 21.

კონკურსის მონაწილე სტაჟირების მსურველ პირს უფლება აქვს, კონკურსის პროცედურის, ეტაპებისა და შედეგების თაობაზე მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IV. სტაჟირების ვადა

მუხლი 22.

1. სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 თვიდან 12 თვემდე ვადით. სტაჟიორს უფლება აქვს აპარატში სტაჟირება რამდენჯერმე გაიაროს, თუმცა აპარატში სტაჟირების გავლის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.

2. საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია სტაჟირების ვადის შეჩერება.

3. სტაჟირების გაგრძელება შესაძლებელია შეჩერებული ვადით, თუმცა არაუმეტეს სტაჟირების საერთო 12-თვიანი ვადისა.

მუხლი 23.

1. სტაჟირების ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) პირადი განცხადება, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის შესაბამისად.

ბ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა;

გ) საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით;

დ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„ე“ და „თ“–„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა;

ე) სტაჟირების პერიოდში არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 5 დღის განმავლობაში სტაჟირების გავლის ადგილას გამოუცხადებლობა ან სტაჟირების გავლის ადგილას ხშირი არყოფნა, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს;

ვ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

2. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იღებს საქართველოს სახალხო დამცველი აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ან სტაჟირების ხელმძღვანელის წინადადების საფუძველზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით სტაჟირების შეწყვეტის შემთხვევაში, სტაჟიორი 3 დღის ვადაში აპარატის შესაბამის უფლებამოსილ პირს აბარებს იმ მატერიალურ ფასეულობას, რაც მას სტაჟირების გავლის პერიოდში გადაეცა.

მუხლი 24.

სტაჟირების პერიოდის დასრულების შემდგომ აპარატი გასცემს ცნობას პირის მიერ სტაჟირების გავლის თაობაზე.

თავი V. აპარატის უფლება-მოვალეობები

მუხლი 25.

1. აპარატის უფლება-მოვალეობებია:

ა) შეუქმნას სტაჟიორს უსაფრთხო გარემო და სათანადო პირობები პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად;

ბ) განუსაზღვროს სტაჟიორს სტაჟიორის მენტორი;

გ) სტაჟირების მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზების შესახებ სტაჟიორის წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები აღნიშნული ხარვეზის შესწავლისა და გადაწყვეტის მიზნით;

დ) სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე სტაჟიორს, მოთხოვნის შემთხვევაში, სასწავლო პროცესთან სტაჟირების ინტეგრირების მიზნით, დაუდგინოს სტაჟირების სპეციალური გრაფიკი;
ე) დაადგინოს სტაჟიორის სხვა მოთხოვნები, გარდა ამ წესის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;
ვ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები.
2. აპარატი ვალდებულია სამუშაო ადგილზე პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად მიიღოს ზომები აპარატში მიღებულ სტაჟიორთა მიმართ თანაბარი მოპყრობის მიზნით, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს საჯარო დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.

მუხლი 26.

აპარატის ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობებია:
ა) გამოაცხადოს სტაჟიორის კონკურსი ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდსა და სახალხო დამცველის აპარატის ოფიციალურ ვებგვერდზე;
ბ) დაადგინოს სტაჟირების მსურველი პირების მიერ წარდგენილი განაცხადების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
გ) განსაზღვროს წარმომადგენელი, სტაჟირების მსურველი პირის ამ წესის შესაბამისად შეფასების მიზნით;
დ) ასახოს სტაჟიორის კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე;
ე) უზრუნველყოს საჯარო დაწესებულებისა და საჯარო დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ინფორმირება სტაჟირების მნიშვნელობისა და ამ პროცესში თითოეული მათგანის ფუნქციის შესახებ;
ვ) უზრუნველყოს სტაჟიორის ადაპტაციის პროცესი და საჯარო დაწესებულებაში საქმიანობის მარეგულირებელი სავალდებულო დოკუმენტების გაცნობა;
ზ) გაეცნოს რეკომენდაციებს სტაჟირების პროცესის განვითარებასთან, გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და ითანამშრომლოს ბიუროსთან საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების ერთიანი პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით;
თ) უზრუნველყოს ჩატარებული კონკურსის შესახებ ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი: აღრიცხოს შემოსული განცხადებების რაოდენობა, აღწეროს კონკურსის ეტაპები პროცედურებისა და კონკურსის შედეგების მითითებით;
ი) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 27.

სტაჟიორის მენტორის უფლება-მოვალეობებია:

ა) გაუწიოს კოორდინაცია სტაჟიორს/სტაჟიორთა ჯგუფს;
ბ) გაუნაწილოს/განუსაზღვროს სტაჟიორს დავალებები, გააცნოს აღნიშნული დავალებების შესრულების სპეციფიკა, მნიშვნელობა, მოსალოდნელი შედეგები;
გ) გაუწიოს მონიტორინგი სტაჟიორის მიერ სამუშაოს შესრულების პროცესს; უფლებამოსილია, შეფასების წესის ან დასაბუთებული წერილობითი არგუმენტაციის საფუძველზე, შეაფასოს სტაჟიორის მიერ შესრულებული სამუშაო;
დ) გაუზიაროს რეკომენდაციები/ინსტრუქციები, მისცეს უკუკავშირი და იზრუნოს სტაჟიორის პროფესიულ განვითარებაზე, საჭიროებისამებრ, ასევე მიაწოდოს თეორიული მასალა;
ე) შეუქმნას სტაჟიორს შესაბამისი გარემო, სათანადო პროფესიული გამოცდილების მიღების მიზნით;
ვ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები

თავი VI. სტაჟიორის უფლება-მოვალეობები

მუხლი 28.

1. სტაჟირების მსურველი პირის უფლება-მოვალეობებია:
ა) გაეცნოს სტაჟიორის კონკურსის შესაბამის შეტყობინებაში მითითებულ ინფორმაციას/მოთხოვნებს და, კონკურსში მონაწილეობის მიზნით, წარადგინოს ელექტრონული განაცხადი ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე;
ბ) შეიტანოს ცვლილება გაკეთებულ განაცხადში საჯარო დაწესებულების მიერ განაცხადის წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე;
გ) დაწესებულებას მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
დ) გაასაჩივროს სტაჟირების კონკურსის შედეგები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 29.

1. სტაჟიორი სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით, რომელიც გულისხმობს მის ვალდებულებას, სამუშაო საათებში თავი შეიკავოს პოლიტიკური აქტივობისაგან საჯარო სამსახურის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.

2. სტაჟიორის მიერ ინფორმაციის მიღებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით.

3. სტაჟიორმა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის შესაბამისად, უნდა შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობა და დაიცვას სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

4. სტაჟიორი ვალდებულია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად, შეასრულოს ხელმძღვანელის განკარგულება.

5. სტაჟიორმა გამჭირვალობისა და ღიაობის პრინციპის დაცვისას უნდა იხელმძღვანელოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლით.

6. სტაჟიორი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც მისთვის აპარატში სტაჟირების გავლის დროს გახდა ცნობილი.

მუხლი 30.

1. სტაჟიორს უფლება აქვს, სტაჟირების ხელმძღვანელის თანხმობით:
ა) გაეცნოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისა და მთლიანად, აპარატის მუშაობის სპეციფიკას. კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში;
ბ) გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებითა და სხვა), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს აპარატის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.
2. სტაჟიორი უფლებამოსილია:
ა) მოითხოვოს უსაფრთხო გარემოსა და სათანადო პირობების შექმნა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად;
ბ) შეატყობინოს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს სტაჟირების მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზების შესახებ, დასაბუთებული წერილობითი ფორმით;
გ) პირადი განცხადების საფუძველზე, მოითხოვოს სტაჟირების შეწყვეტა;
დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 31.

1. სტაჟიორი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და იხელმძღვანელოს აპარატის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით;

ბ) დადგენილ ვადაში შეასრულოს სტაჟირების მენტორის მიერ მიცემული დავალებები;

გ) სტაჟირების მიმდინარეობისას მუდმივი კონტაქტი იქონიოს აპარატის თანამშრომლებთან;

დ) დაიცვას აპარატის შინაგანაწესი, მომსახურების სტანდარტი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები და სხვა აქტები, რომლებიც, მათი შინაარსის გათვალისწინებით, სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება ვრცელდებოდეს სტაჟიორზე;

ე) გაუფრთხილდეს აპარატის ქონებას, იზრუნოს მისთვის გადაცემული ნივთების მოვლაზე;

ვ) სამუშაო ადგილზე გამოცხადება და მისი დატოვება დააფიქსიროს შინაგანაწესით განსაზღვრული წესით.

2. სტაჟიორის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის X თავის მოქმედება.

მუხლი 32.

1. სტაჟიორი, სტაჟირების მენტორის რეკომენდაციის საფუძველზე, მისი თანხმობით შეიძლება გადაყვანილ იქნეს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულში.

2. სტაჟიორმა შესაძლებელია სტაჟირება ერთდროულად გაიაროს აპარატის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად.

3. მე-2 მუხლით განსაზღვრული სტაჟირების შემთხვევაში სტაჟიორს მენტორი განესაზღვრება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში.

თავი VII. გარდამავალი დებულება

მუხლი 33.

ამ წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.